თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 21

ქ. თელავი

28 დეკემბერი 2018 წ.

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 28 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე;**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	**გიგა ორკოდაშვილი;**
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	**ლევან კოჭლოშვილი;**
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	**დავით გოგოშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	**ლევან ლილუაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -კონსერვატორები“ თავმჯდომარე	**მაია მარკოზაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე	**ტიტე დარეჯანიშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე	**ალექსი ძულიაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე	**არჩილი თვალიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
- მწვანეები“ თავმჯდომარე — გიორგი ჩაბრაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე — ზურაბ მუსაევი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე — ბესიკი ქოჩიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე — ვასილ არაბული;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე — გიგა მამუკელაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
-კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე — გიორგი ქიზიყელაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის
„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
თავმჯდომარის მოადგილე — მიხეილ გრემელაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
თავმჯდომარის მოადგილე — ბაადური რევაზიშვილი;

საკრებულოს წევრები: ლევანი ოთიურიძე, ზაქარია გრიშიკაშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, იოსებ პარწიკანაშვილი, გურამ წულუკიძე, ლევან მრელაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ბესიკ გაიპარაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
თელავის მუნიციპალიტეტის მერი შოთა ნარეკლიშვილი;
თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გიგა თუშიშვილი;
მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ლევან ბერძენაშვილი;
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე;**
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **გიორგი ენუქიძე;**
მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **ნუგზარ ბაჩიაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი გია გიგიაშვილი;
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებების ხელმძღვანელები;
საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;
საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები;
მოქალაქეები; მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>დღის წესრიგი:</u>

1. „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.
   მომხს. ნ.ვაყელიშვილი
   12.00სთ-დან - 12.15 სთ-მდე

2. „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2019 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“
   მომხს. გ.ენუქიძე
   12.15სთ-დან - 12.30სთ-მდე
3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ.
   მომხს. გ.თავბერიძე
   12.30სთ-დან -12.45სთ-მდე

4. სხვადასხვა

წარმოდგენილი სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.
მომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.00სთ-დან - 12.15 სთ-მდე

მუნიციპალიტეტის მერმა წარმოადგინა მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებები და დეტალური განხილვისათვის სიტყვა გადასცა საფინანსო სამსახურის უფროსს ნ.ვაყელიშვილს.

მომხსენებელმა ისაუბრა 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობებზე და შესაბამისად მისი ხარჯვის ნაწილზე.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ბ.რევაზიშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე ფასადების შეკეთებისათვის უნდა იყოს გამოყოფილი უფრო მეტი თანხები.
აღნიშნულთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ

წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნება გამონთავისუფლებული თანხებით მოვახდინოთ სხვა სამუშაოების შესრულება.

გ.მამუკელაშვილმა დასვა კითხვა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ქვაფენილის ასფალტის საფარით შეცვლის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ საკითხი ძირეულად იქნება შესწავლილი და გათვალისწინებული იქნება მოსახლეობის მოსაზრებები, მთავარი პრიორიტეტი კი იქნება მაღალი დონის სამუშაოს შესრულების მიღება.

ბ.ქოჩიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ წლის განმავლობაში უნდა ხდებოდეს ქვაფენილების მომსახურება.

ა.ძულიაშვილმა კი აღნიშნა, რომ ქვაფენილი არის სპეციფიკური და საჭიროებს პროფესიონალურ ჩარევას. მან ასევე ისაუბრა იმის თაობაზე, რომ ქალაქის ტერიტორიაზე არ უნდა იყოს სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები არსებული რაოდენობით.

ლ.კოჭლოშვილმა დასვა კითხვა ტურიზმის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ.

შეკითხვასთან დაკავშირებით განმატრებები გააკეთა **ნ.ვაყელიშვილმა.**

ლ.კოჭლოშვილმა ასევე ისაუბრა იმის თაობაზე, რომ მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულია ახალგაზრდულ და სპორტის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში კი ნათლად არ ჩანს თუ რა თანხებია გამიზნული ზემოაღნიშნული სტრატეგიების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების დასაფინანსებლად. მან აღნიშნა, რომ სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, მერიის და საკრებულოს თანამშრომლები, ჩატარდა მოსახლეობის გამოკითხვა. ამიტომ 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა.
სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგარზრდულ საქმეთა კომისიამ არაერთხელ აღნიშნა სტრატეგიების შესასრულებლად საჭირო ფინანსების აუცილებლობაზე, მაგრამ არ მოხდა მისი გათვალისწინება.
ლ.კოჭლოშვილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებებს, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკრებულოს სხდომაზე სურდა განცხადების გაკეთება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, მაგრამ ამ ეტაპზე თავს შეკავებს.

მერის პირველმა მოადგილემ **გ.თუშიშვილმა** ისაუბრა იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომლებიც დაგეგმილია მომავალი წელს ახალგაზრდული და სპორტული სტრატეგიების დოკუმენტების შესასრულებლად.

ზ.ნაცარაშვილმა და მოქალაქე **მ.მოსიაშვილმა** დასვეს კითხვა მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დარჩენილი ნაშთის შესახებ.

ნ.ვაყელიშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობს სხვადასხვა ვალდებულებების დაფინანსება და მომავალი წლის დასაწყისში ცნობილი იქნება ნაშთის ზუსტი ოდენობა.

გ.მამუკელაშვილმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ 2019 წლის ბიუჯეტი პასუხობს პრიორიტეტებს, საკრებულოს შენიშვნები სრულად იქნა გათვალისწინებული მერიის მიერ და სამომავლოდ გამოთქვა იმედი, რომ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მომავალი წლის განმავლობაში დადებითად გადაწყდება ყველა ის საკითხი, რომელიც ემსახურება მოსახლეობის ინტერესებს.

დღის წესრიგით გათვალიწინებული პირველი საკითხის განხილვისას სხდომა დატოვეს საკრებულოს წევრებმა **ზ.გრიშიკაშვილმა, ი.პარწიკანაშვილმა, ნ.მაისურაძემ.**

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 21 (ოცდაერთი) წევრმა, კენჭისყრას არ ესწრებოდა 01 (ერთი) წევრი: **ლ.კოჭლოშვილი, წინააღმდეგი** - 04(ოთხი) წევრი - **ა.ძულიაშვილი, ბ.რევაზიშვილი, ა.კუპატაძე, ზ.ნაცარაშვილი.**

<u>2.მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2019 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“

მომხს. გ.ენუქიძე
12.15სთ-დან - 12.30სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ბ.რევაზიშვილმა** აღნიშნა, რომ სოციალური პროგრამებით სარგებლობის საშუალება იმ მოქალაქეებსაც უნდა მიეცეს ვინც, არ იმყოფებიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში.

მოქალაქე **ნ.ხუციშვილმა** ისაუბრა ეპილეფსიით დაავადებულთა დახმარების პროგრამის აუცილებლობაზე.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი განმარტებები გააკეთა მომხსენებელმა და აღნიშნა, რომ სოციალური პროგრამები იმდენად მოქნილია, რომ ორივე შემთხვევაში შესაძლებელია გავუწიოთ დახმარება საჭიროების მქონე პირებს.

ასევე დაისვა საკითხი 18 წლის ზევით შშმ პირების დახმარების შესახებ, რაზეც სოციალურ კომისიის თავმჯდომარის და მომხსენებლის მიერ გამოითქვა მზადყოფნა საკითხის შესწავლის და დამატებით პროგრამის შემუშავებისათვის.

ლ.მრელაშვილმა აღნიშნა, რომ მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი

სოციალური პროგრამები საშუალებას მოგვცემს უფრო მეტ მოქალაქეს დავეხმაროთ.

საკითხის განხილვისას სხდომა დატოვა საკრებულოს წევრმა გ.წულუკიძემ.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 20-მა წევრმა.

<u>3.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

12.30სთ-დან -12.45სთ-მდე

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 20 წევრმა.

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**